ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4313337

ნომერი: AR1650790

თარიღი : 18.12.2018

გაცემის თარიღი : 21.12.2018

გაცნობის თარიღი : 24.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ.საცდელი მეურნეობა ს/კ 01.72.14.014.237-ის მიმდ; ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიო ბერეკაშვილი პ/ნ 60002004804
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 14-16, ბინა 8ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4207012 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018

წლის 18 დეკემბერს №AR1650790 განცხადებით მომართა სოფიო ბერეკაშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4207012 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4207012 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიღმის სასწ.საცდელი მეურნეობა ს/კ: №01.72.14.014.237-ის მიმდ/ ქალაქ თბილისში , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.014.685), მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 08.10.2018წ-დან 08.10.2019 წლის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 08 ოქტომბრიდან 2019 წლის 08 ოქტომბრის ჩათვლით'' ნაცვლად მიეთითა ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 08 ოქტომბრიდან 2019 წლის 08 თებერვლის ჩათვლით''.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2018 წლის 14 აგვისტოს №AR1622826 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 12 თვეზე და სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4207012 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2019 წლის 08 ოქტომბრის ჩათვლით, ხოლო ბრძანებაში შეცდომით დაფიქსირდა 2019 წლის 08 თებერვალი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 08 ოქტომბრის №4207012 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე სოფიო ბერეკაშვილის 2018 წლის 18 დეკემბრის №AR1650790 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ოქტომბრის №4207012 ბრძანებაში, კერძოდ: ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 08 ოქტომბრიდან 2019 წლის 08 ოქტომბრის ჩათვლით''.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 08 ოქტომბრის №4207012 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.